განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
კერძო სამართალი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2 ოქტომბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
18 ოქტომბერი, 2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი კერძო სამართლში 0603
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რაიმუნდას კალესნიკასი,
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, მოწვეული ლექტორი საბაუნის სასწავლო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, ევროპის უნივერსიტეტში; კონრად ადენაუერის ფონდისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ექსპერტი; ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლიპარტია (დამსაქმებელი), მოწვეული ლექტორი თსუ-სა და ილიას უნივერსიტეტში. სადაზღვევო კომპანია არდის ხელმძღვანელი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის აღმასრულებელი დირექტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა იმედაძე (სტუდენტი), აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	

ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში(შემდგომში - GTTU), მოქმედებს 2012 წლიდან. GTTU-ში მოქმედი პროგრამა აკრედიტებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 15 ოქტომბრის N148 გადაწყვეტილებით.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტის დაგროვებას. 1 კრედიტი = 25-30 ასტრონომიულ საათს. პროგრამა კარგად არის მიღებული საგანმანათლებლო ბაზარზე, ყოველწლიურად მასზე ირიცხება დაახლოებით 40 სტუდენტი, მიღების კოეფიციენტი ყოველი ორი კანდიდატიდან ერთის ტოლია, დაბალია აკადემიური პერსონალის ბრუნვა, მიღების კოეფიციენტი წარმოადგენს აკადემიურ წელიწადში 1-ს. პროგრამის მართვაზე ერთობლივად პასუხისმგებელია სამართლის ფაკულტეტი და კერძო სამართლის კათედრა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა სამშაბათს, 2018 წლის 2 ოქტომბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის აღწერის დოკუმენტები, რომელსაც თან ახლდა პროგრამის კომპონენტების დეტალური სილაბუსები, დოკუმენტების GTTU-ს დოკუმენტის შესახებ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, აკედემიური რეგულაციიები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის, რეგულაციები, საერთაშორისო პარტნიორებთან დადებული ხელშკრულებები და მობილობის სტატისტიკა, აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და პირადი საქმეები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ხუთ სფეროზეაკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის კუთხით: პროგრამის ამოცანები და სწავლის შედეგები; სასწავლო მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატური შეფასება; სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა; სასწავლო რესურსები; სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ექსპერტთა ჯგუფის თითოეულმა წევრმა ინდივიდუალურად შეისწავლა თვით-შეფასების ანგარიში, მოამზადა წინასწარი ანდარიში და აღნიშნა პრობლემური საკითხები თუ განსახილველი თემები.

ვიზიტის განხორციელების დროს, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის მართვის გუნდს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, პროფესორ-მასწავლებლებს (როგორც აფილირებულ წევრებს, ისე მოწვეულებს), პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს და სტაჟირების პროგრამათა ხელმძღვანელებს. ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის. ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე ვიზიტის პერიოდში დაკმაყოფილდა პროფესიულად და ეფექტიანად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა საერთო დადებითი შთაბეჭდილება პროგრამაზე მისი შინაარსის, განსაზღვრულობის დონის, აგებისა და შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით, შეფასდა დადებითად, ისევე როგორც, GTTU-ს სტრატეგია და სტრატეგიული გეგმა აკადემიური განვითარებისა და კურიკულუმის კომპეტენციების განახლებისთვის.

პროგრამის მთავარი ამოცანა და განზრახული სწავლის შედეგებია სტუდენტებს შესძინოს ძირითადი იურიდიული კომპეტენციები და უნარები ზოგად და კერძოდ ეროვნული სამართლის დარგის ექსპერტიზაში, მისცეს მათ შესაძლებლობა შეასრულონ პრაქტიკული სამართლებრივი სამუშაო ეროვნულ სამართლებრივ გარემოში. პროგრამის ხელმშემწყობებს შეუძლიათ ჰქონდეთ მკაფიო აღქმა და განასხვავონ სწავლის შედეგები და მოსალოდნელი შედეგები საბაკალავრო დონესა და სამაგისტრო დონეს შორის სასწავლო ციკლისადმი EHEA-ს, ბოლონიისა და დუბლინის დესკრიპტორთა მოთხოვნის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება ეროვნული დოკუმენტების მოთხოვნებს, თუმცა სრულად არ ასახავს მონაწილეთა და (სტუდენტების, სასწავლო პერსონალის, კურსდამთავრებულების) ყველა დაინტერესებული მხარის (დამსაქმებლები, საზოგადოება) საჭიროებებს ან საერთაშორისო მიდგომის დაკმაყოფილებას. პროგრამის მიერ შემოთავაზებული სწავლის შედეგები, შინაარსი და კვალიფიკაცია ერთმანეთთან თავსებადი ჩანს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლის წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პროგრამის შინაარსის გაძლიერება გარკვეულ სფეროებში შესაძლებელია. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველია დამატებითი საგნების შემუშავება, არსებული საგნების შინაარსის გამდიდრება/განახლება სავალდებულო/არჩევითი კურსების გადახედვა და ა.შ. შედარებითი მოდულების/კურსების ინტეგრირების საჭიროება, რასაც ხაზი გაუსვეს სტუდენტებმა, ასევე ისეთი აქტივობები, რომლებსაც შეუძლიათ პროგრამის გაუმჯობესება. ექსპერტთმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნდა გაუქმდეს ზოგადი საგანი და დაინერგოს უფრო მიზანმიმართული საკურსო ერთეულები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას.

სტუდენტთა აქტივობის შეფასების სისტემა გამწჭვირვალეა, ადეკვატური და საჯარო, კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა შეესაბამება პროგრამის მოლოდინებს. GTTU-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს არსებული კონკრეტული კანონმდებლობა პროგრამისთვის და გამოიყენოს იგი ახალი რეგულაციისთვის, ასევე გაზარდოს სა საკონტაქტო საათები საველე სწავლების საგანში და აღმოფხვრას 2+1 ფორმულა (2 თეორიული ლექცია და 1 პრაქტიკული ტრენინგი).

ყველაზე ზუსტი მხარეა პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, როგორც გამავალი ასევე შემომავალი სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, საკითხავი რესურსების, კვლევითი საქმიანობისა და სხვა საერთაშორისო ღონისძიებების კუთხით. იმისათვის რომ GTTU-მ მეტი სარგებელი ნახოს საერთაშორისო თანამშრომლობიდან, კარგი გზა იქნება ინგლისური ენის სწავლების ხარისხის გაზრდა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია საერთაშორისო და საველე სწავლების საგნებში.

პროგრამაზე სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციები და მათი რაოდენობა ადეკვატურია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი სწავლის შედეგები და აკმაყოფილებდეს სამართლებრივ მოთხოვნებს. აკადემიური პერსონალი ძალიან პროფესიონალურია და ცნობილი ეროვნულ აკადემიურ სივრცეში. ეს ხელს უწყობს წარმატებული პრაქტიკული და პროფესიული გამოცდილების მიღებას, რაც ეხმარება პროგრამის მოდერნიზაციას. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა სასწავლო პერსონალის არასრული ჩართულობა პროგრამასთან დაკავშირებულ აქტივობებში და ის ფაქტი, რომ სასწავლო პერსონალის 2/3 აქტიურად არის ჩართული სამართლებრივ პრაქტიკასა და GTTU-ს გარეთ სხვა უნივერსიტეტებში სწავლებაში. ყოველივე ეს ერთობლივად გავლენას ახდეს საერთაშორისო მობილობის არარსებობაზე და მკადიოფ გამოკვეთილ ლიდერობაზე, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პერსონალის ძალისხმევას GTTU-სადმი ისევე როგორც გამოიხმოს იგი ძლიერ აკადემიურ საზოგადოებაში არსებობისგან. მცირე რაოდენობის შემთხვევებში, აკადემიური პერსონალი ასწავლის მოდულებს ისეთ სფეროებში, რომლებშიც ჯერ არ აქვთ პირდაპირი რელევანტური კვლევა ჩატარებული ან პრაქტიკული

გამოცდილება მიღებული. ინდივიდუალური ან კოლექტიური სამეცნიერო კვლევის მტკიცებულებები მცირეა და ზოგადი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ძალიან ცოტა პროფესორ-მასწავლებელი არის რეგულარულად ჩართული კვლევებსა თუ სამეცნიერო კვლევით ქსელებში. აკადემიური პერსონალის დროის დაბალასება პროფესიულ საქმიანობასთან, სასწავლო აქტივობა სხვა უნივერსიტეტებში და კვლევითი საქმიანობა წარმოადგენს გამოწვევას პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის. სხვა მხრივ, აკადემიური პერსონალის უმეტესობა შესაძლოა სწავლების გამოცდილებისა და სასწავლო მეთოდოლოგიებში გადამზადების ნაკლებობას განიცდიდეს.

GTTU-ს აქვს საკუთარი სასწავლო შენობები, სასწავლო აღჭურვილობა (საკლასო ოთახები, კომპიუტერული აღჭურვილობა, სამომხმარებლო ნივთები, ბიბლიოთეკა) და სასწავლო რესურსები (სასწავლო სახელმძღვანელოები, წიგნები, პერიოდული გამოცემები, მონაცემთა ბაზები), რომლებიც საკმარისად ადეკვატური და ხელმისაწვდომია. ამასთან სტუდენტების პრაქტიკისათვის გათვალისწინებული გარიგებები შესაბამისი და დამაკმაყოფილებელია. თუმცა, ბიბლიოთეკაში არსებული სამართლის სექციაში წიგნებისა და ელექტრონული რესურსების, ასევე ონლაინ მონაცემთა ბაზების შეზღუდული არჩევანია, მითუმეტეს თუკი მას შევადარებთ ხელმისაწვდომ სივრცეს.

სტუდენტები დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი და შთამბეჭდავად მოტივირებულები არიან. ისინი ძალიან დადებითად აფასებენ აკადემიური პერსონალის პრაქტიკულ პროფილს, იმავე უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების და ამ პროგრამის შესაბამისად სპეციალიზებული სწავლების არჩევის შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომობასა და განთავსებადობას. მათ ასევე ხაზი გაუსვეს საკუთარ პროფესორებთან და ადმინისტრაციასთან კონტაქტისა და ურთიერთობის სიმარტივეს და ზოგადი კმაყოფილება გამოთქვეს მათ მიმართ. დაინტერესებული მხარეები ასევე ძალისხმევას არ იშურებენ პროგრამისადმი და ხაზს უსვამენ სტუდენტთა პროფესიულ გადამზადებას და ინოვაციური პროექტების განვითარებას. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ არსებული ცნობიერება არ არის საკმარისი. მაგისტრანტს ხელმძღვანელი ეხმარება ბიბლიოგრაფიაზე მუშაობასა და სამუშაო გეგმის მომზადება/დაკონკრეტებაში. პერიოდულად ამოწმებს საკითხზე მუშაობის მიმდინარე პროცესს, კონსულტაციის სახით შეაქვს კონკრეტული შესწორებები სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოში.

მეორეს მხრივ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრისას ადგილზე ვიზიტის დროს, GTTU-ს ადმინისტრაციამ და პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ სირთულეს, რომელსაც წააწყდნენ პროგრამის მართვაში სტუდენტების მონაწილეობის წახალისების კუთხით. სტუდენტების შედარებით სუსტი ჩართულობა პროგრამის მახასიათებლების შემუშავებასა და განხორციელებაში თავად სტუდენტებმაც დაადასტურეს ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას. შესაბამისად, სასურველი იქნება, თუკი GTTU შეიმუშავებს სათანადო ინსტრუმენტებსა და აღმოაჩენს ახალ პლატფორმებს სტუდენტების პროგრამის მართვაში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების გასაძლიერებლად.

GTTU-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტების ფინანსურ და სოციალური მხარდაჭერას, კულტურულ ღონისძიებებსა და სოციალურ ცხოვრებას. სტუდენტთა ცოდნის, შესაძლებლობებისა და უნარების შეფასება მოიცავს სემინარებს, ჯგუფურ მუშაობებს, ინდივიდუალურ დავალებებ და მიზნად ისახავს კარგი საგანმანათლებლო მიღწევების სტიმულირებას მთელი სემესტრის განმავლობაში და არა მხოლოდ სესიებზე.

საკომუნიკაციო არხები GTTU-ს უფროს ადმინისტრატორებს, სასწავლო პერსონალსა და სტუდენტებს შორის გაუმჯობესებული ჩანს, მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრების დროს სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და სოციალური პარტნიორების მიერ გამომჟღავნებული დიდი დოზით სიამაყისა და ლოიალურობისა. პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და გადაწყვეტილებების

პრასუხისმგებლობები ნათლად გადანაწილებულია, ასევე რეგულარულად გროვდება პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია და ხდება მონაცემთა ანალიზი. მონაწილე მხარეები ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, ძირითადად, სტუდენტურ გამოკითხვებში ჩაწერილი მათი შენიშვნების სისტემატიური და პერიოდული მოგროვებითა და ანალიზით კურსისა და პროგრამის დონეზე, ფინალურ გამოკითხვებში, კურსდამთავარებულთა დასაქმების გამოკითხვებში და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკომენდაციებში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა სათანადოდ არის დასათაურებული და, რომ იგი პასუხობს ყველა ფორმალურ მოთხოვნას, რაც მსგავს პროგრამას ეხება და რაც, სათანადოდ არის შეჯამებული თვითშეფასების ანგარიშში.

- **რეკომენდაციების შეჯამება**

1. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შესამჩნევად გაძლიერდა. პროგრამის წავლის შედეგები უნდა გადაიხედოს, რათა გახდეს უფრო შეჯერებული და გამოხატავდეს ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებს პროგრამისთვის, რომელიც იყენებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს. მხარდაჭერა და დამატებითი ფინანსური რესურსები ასევე უნდა მოიცავდეს სამეცნიერო კვლევებისა და მობილობით გამგზავრების ფინანსებს. ინგლისური ენის კომპონენტი უნდა იყოს ყველა პროგრამაში. GTTU-ს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სტრატეგია და ინტერნაციონალიზაციის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის ევროპული და საერთაშორისო განზომილების გაუმჯობესებას.
2. მკაფიოდ განსაზღვრეთ და განასხვავეთ საერთო და დარგობრივი კომპეტენციები სწავლების პირველი ციკლის (ბაკალავრიატი) და მეორე ციკლისთვის (სამაგისტრო საფეხური) საჭირო დაშვების მოთხოვნების გათვალისწინებით. სოციალურ პარტნიორებს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს სრულყოფილად უნდა ჰქონდეთ გააზრებული სწავლის შედეგები და მიზნები და უნდა დაურთონ ისინი მთლიან მეთოდოლოგიას.
3. გამორიცხეთ საერთო და სექტორული კომპეტენციები იმისათვის, რომ უფრო გასაგები გახდეს ურთიერთკავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე კურსის კურიკულუმის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, ყურადღება მიექცეს, რომ ეს პროგრამა სპეციალიზდება მაგისტრატურის საფეხურზე და სწავლის შედეგებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევის შემუშავებას, კრიტიკულ აზროვნებას ან ინტერდისციპლინარულ უნარებსა და პროფესიულ კომპეტენციებს, რომლებსაც შეიძენენ მხოლოდ კონკრეტული საკურსო მოდულებით.
4. მოერგოს ახალი წესები სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესზე, კვლევის დაგეგმვაზე, აკადემიურ მოთხოვნებზე და გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობის პროცესი. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესების თაობაზე აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება უნდა ამაღლდეს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები უნდა შეირჩეს უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, პროფესორის სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა მისწრაფება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესში საერთაშორისო სტანდარტების განხორციელებისკენ.
5. უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ამოცანების, მიზნებისა და სწავლის შედეგების აღწერის საჯაროდ ხელმისაწვდომობა, სადაც გამოჩნდება მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და პროფესიულ ცოდნასთან, უნარებთან და კომპეტენციებთან.
6. დაამკვიდრეთ ნათელი პირობები და მხარდაჭერა GTTU-ს ადმინისტრაციის მხრიდან აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების აქტივობებისთვის, რაც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად.
7. შეაფასეთ აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო სამუშაო დატვირთვა. ასევე აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი აქტივობები და მიიღეთ

გადაწყვეტილებები მათი წახალისების შესახებ, შეფასების შედეგების მიხედვით, რაც უნდა ჩატარდეს რეგულარულად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. ჩამოაყალიბეთ პროგრამის მენეჯმენტის მუდმივი სამუშაო ჯგუფი/კომიტეტი.
2. მეტი ყურადღება დაუთმეთ პროგრამის გასაჯაროვებასა და მარკეტინგს, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე. GTTU-ს ვებგვერდი უნდა იყოს მუდმივად განახლებადი, წარადგენდეს პროგრამას, განსაკუთრებით კი სამართლის ფაკულტეტის ვებ-სექციაში.
3. სასურველი იქნება, თუკი გაზრდით ისეთი კურსების რაოდენობას, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო ან ევროპული განზომილების შინაარს, იმისათვის რომ გაძლიერდეს პროგრამის საერთაშორისო და კულტურათაშორისი არეალი.
4. გააძლიერეთ პროგრამის შინაარსი კერძო სამართლის ინსტიტუტების სფეროში, როგორიცაა მაგალითად საკითხები ვალდებულების, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების, საერთაშორისო კორპორაციული სამართლის შესახებ და სხვა.
5. აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია უფრო დეტალურად აღწერილი სწავლის შედეგები აწარმოოს ხარისხის საბოლოო პროექტისთვის საგნის მოდულის სილაბუსის ფარგლებში, რაც პასუხობს პროგრამის მთავარ ამოცანას.
6. უზრუნველყავით, რომ პროგრამის სრულიად სასწავლო პერსონალს აქვს უმაღლესი აკადემიური ხარისხი და წარმოადგენს სამართლის პროფესორს.
7. შეიმუშავეთ სამოტივაციო მექანიზმები მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, რათა ისინი ჩაერთონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და სხვა კლვევით აქტივობებში, მათ შორის მობილობის შესაძლებლობებში.
8. განაგრძეთ მუშაობა ინტერნაციონალიზაციაზე, გაზარდეთ საერთაშორისო პროექტების რაოდენობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის, რეგულარულად მოაწყვეთ საერთაშორისო კონფერენციები, განახორციელეთ კვლევითი საქმიანობები და სხვა.
9. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება უმეტესად უნივერსიტეტში ხდება. GTTU-მ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება საუნივერსიტეტო ჟურნალში. საუნივერსიტეტო ჟურნალი ხელმისაწვდომია მხოლოდ ბეჭდური სახით და მისი ელექტრონული ვერსია ვერ მოიძებნა. სასურველია ელექტრონული ვერსია გამოქვეყნდეს სხვადასხვა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.
10. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას უფრო ხშირად გამოიყენეთ საერთაშორისო ლიტერატურა, რადგან ლიტერატურის რაოდენობა (გარდა ნორმატიული დოკუმენტებისა) ძალიან დაბალია, ამასთან ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომში უცხოური ლიტერატურა საერთოდ არ იყო გემოყენებული.
11. განახორციელეთ ხელმძღვანელთა პერიოდული ანგარიშები სტუდენტთა მოსწრების შესახებ სამაგისტრო ნაშრომის ზედამხედველობის პროცესში. თითოეულ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ახალი, თანამედროვე ცოდნა. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა ვერ საუბრობს ინგლისურად/გერმანულად/ფრანგულად. შესაბამისად მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ახალ მასალებს, რათა შემდეგ სტუდენტებს მისცენ მიმართულება ახალ ლიტერატურაზე.
12. განაგრძეთ მუშაობა უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა შესაძლებელი იყოს შედარება უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს

პროგრამებთან და რათა გამოიყენოთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა პროგრამის განვითარებისთვის.

13. განახორციელეთ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებები და გაითვალისწინეთ გარე შეფასების შედეგები.
14. სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და სოციალურ პარტნიორებს შორის საკომუნიკაციო არხები უნდა იყოს ინსტიტუციალიზირებული და სტანდარტიზირებული და უზრუნველყოფდეს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სამართლს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების დანერგვა, რომელიც რეგულარულად უზრუნველყოფს და აფასებს პროგრამის განხორციელების ხარისხს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენს საუცხოოდ სიღრმისეულ და მკაფიო ანგარიშს GTTU-ს 2017-2023 წლებსი სტრატეგიული გეგმის მიზნების მიმართულებების შესახებ. GTTU-ს მისიის ერთერთი მთავარი ნაწილია, როგორც ეს საჯაროდ განაცხადეს: „ავტორიტეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად დამკვიდრება ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ; სტუდენტის მომზადება კონკურენტული შრომის ბაზრის გამოწვევებისა და 21-ე საუკუნის გლობალური საზოგადოების ღირსეული წევრობისათვის თანამედროვე მეცნიერულ, პედაგოგიურ, ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებული ხარისხიანი ცოდნის გადაცემით“. მისია ასახავს სამართლის ფაკულტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას როგორც GTTU-ს შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სათანადოდ არის განსაზღვრული GTTU-ს მისიისა და შესაბამისი მიზნების მისაღწევად, კერძოდ, კვალიფიციური, საჯაროდ პასუხისმგებელი იურისტის მომზადება, რომელიც კონკურენტუნარიანია შრომისა და საგანმანათლებლო ბაზარზე, სთავაზობს რა მას ისეთი ხარისხის განათლებას, რომელიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის მონაცემების აშკარა წვლილი პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაში. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მტკიცებულება, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო შრომის ბაზრის სისტემატური ანალიზი და კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან. 2012 წელს დაწყებული პროგრამა მუდმივად ვითარდება. პროგრამა ხორციელდება მხოლოდ ქართულ ენაზე. მისი განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მოიცავს 9 ადამიანს, მათგან 6

პროფესორია, 2 ასოცირებული პროფესორი და ერთი მოწვეული სპეციალისტი. საკონტაქტო საათები გაზრდილია და ყველა სასწავლო კურსს აქვს ერთნაირი განაწილება (2 თეორიული +1 პრაქტიკული საათი=30+15 სასწავლო საათი). სტუდენტთა მიღწევების შეფასების პროცედურა და სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და დაცვის წესები შეიცვალა ახალი შიდა რეგულაციით, ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსს დაემატა შეფასების კრიტერიუმები. პროგრამას დაემატა კურიკულუმის რუკა იმ განზრახვით, რომ დალაგდეს პირველადი სპეციალობის კურსების სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში, რაც ნათლად გამოხატავს თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგების რელევანტურობას პროგრამის სწავლის შედეგებთან, რომელიც აღწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. აკადემიურ პროგრამას დაემატა სწავლის შედეგების შეფსების გეგმა, რაც იძლევა სტუდენტების მიერ, სპეციალური აკადემიური კურსის მეშვეობით მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის საშუალებას.

პროგრამა ორიენტირებულია მეორე საგანმანათლებლო ციკლზე, სადაც იურისტების მომზადებისას ყურადღება ექცევა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას, ასევე პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას კერძო სამართლის დარგში, ეროვნულ დონეზე. კურსდამთავრებულებისგან მოლოდინია, რომ ისინი გახდებიან პროფესიონალი კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ შეძენილი, სისტემური, პრაქტიკული ცოდნისა და პროფესიული უნარების ადაპტირება მუდვიმად ცვალებად სამართლის სფეროში ეროვნულ შრომის ბაზარზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ხედავს პროგრამის ხარვეზებს, რომ პროგრამა მთლიანად ორიენტირებულია ეროვნულ და არა საერთაშორისო მიდგომაზე. ეს ნათლად ჩანდა თვითშეფასების თავდაპირველ ანალიზში და ექსპერტთა ჯგუფის მიერ თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გამართულ შეხვედრებზე. პროგრამაში საერთაშორისო კომპონენტის ნაკლებობის გამოსწორება შესაძლებელია პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების გაზრდით, შესაბამისად, თითოეული კურსის კურიკულუმში.

ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ერთხმად დაადასტურეს საერთო კმაყოფილება, ზოგიერთმა მათგანმა დიდი ენთუზიაზმითაც, თუ როგორ გაამართლა მათი მოლოდინები პროგრამამ. სტუდენტებისთვის ამ პროგრამის არჩევის მთავარი მიზეზი არის სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, შეფერხების გარეშე, სწავლების იმავე უნივერსიტეტში გაგრძელების შესაძლებლობა, ასევე სწავლების პრაქტიკული კომპონენტები, ძალიან პროფესიონალი სასწავლო პერსონალი, ზოგიერთისთვის კი მიზეზი გახდა ის ფაქტორი, რომ ლექტორებია საინტერესო.

მეორეს მხრივ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრისას ადგილზე ვიზიტის დროს, GTTU-ს ადმინისტრაციამ და პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ სირთულეს, რომელსაც წააწყდნენ პროგრამის მართვაში სტუდენტების მონაწილეობის წახალისების კუთხით. სტუდენტების შედარებით სუსტი ჩართულობა პროგრამის მახასიათებლების შემუშავებასა და განხორციელებაში თავად სტუდენტებმაც დაადასტურეს ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას. შესაბამისად, სასურველი იქნება, თუკი GTTU შეიმუშავებს სათანადო ინსტრუმენტებსა და აღმოაჩენს ახალ პლატფორმებს სტუდენტების პროგრამის მართვაში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების გასაძლიერებლად.

ექსპერტთა ჯგუფი დადებიტად აფასებს GTTU-ს ადმინისტრაციის ინიციატივას, პროგრამის ნათელი მენეჯმენტის, პასუხისმგებლობისა და საკონტროლო მექანიზმის დამკვიდრების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი, კერძო სამართლის კათედრის ხელმძღვანელი, სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი და სამართლის ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფენ აკადემიური პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამასთან. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი კამყოფილი დარჩა სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლების ჩართულობით პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამის განვითარების პლატფორმა შექმნილია წინასწარდანერგილი „სამართლის პროგრამის განახლებისა და დამუშავების სამუშაო ჯგუფის“ მეშვეობით იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს აკრედიტაციის ახალ სტანდარტებს და განხორციელდეს საჭირო ცვლილებები პროგრამაში. ექსპერთა ჯგუფს ჰოქნდა საშუალება, შეხვედროდა ყველა დაინტერესებულ მხარეს და გადაემოწმებინა მათი მნიშვნელოვანი წვლილი პროგრამის განვითარებაში მაგ.: კონკრეტული იდეები კურსდამთავრებულთა საჭირო უნარების ტენდენციების შესახებ, საბაკალავრო ნაშრომის ხელშეწყობის სურვილი, რათა

თანამედროვე სამართლის პრობლემები უფრო გამოსაჩენი გახდეს, ქეისების შემუშავება, რომლებიც უფრო შეესაბამება საქართველოს სამართლის პრაქტიკასა და სამართლის სფეროში არსებულ საზოგადოებას და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ პროგრამის აღწერილობა ○ GTTU-ს მისია და სამართლის ფაკულტეტის მისია. ○ GTTU- სა და სამართლის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმები. ○ შრომის ბაზრის ანალიზის შედეგები და დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) გამოკითხვების შედეგები. ○ გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან და მენეჯმენტთან. ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ გასაუბრება აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან . ○ გასაუბრება დასაქმებულების წარმომადგენლებთან. ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ○ GTTU-ს ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○ პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შესამჩნევად გაძლიერდა. GTTU-მ მხარი უნდა დაუჭიროს და გამოყოს დამატებითი ფინანსური რესურსები სამეცნიერო კვლევითი აქტივობების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობით გამგზავრების დასაფინანსებლად. ○ *ინგლისური ენის (ან სხვა უცხო ენის) კომპონენტი უნდა გამოიყენოთ მთელ პროგრამაში (სასწავლო სილაბუსები, სამაგისტრო ნაშრომის წერა, საერთაშორისო სასამართლოების საქმეთა ანალიზი, საკითხავი მასალები, ბიბლიოთეკის წიგნები და სხვა).* ○ განავითარეთ GTTU-ს საერთაშორისო სტრატეგია და ინტერნაციონალიზაციის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის ევროპული და საერთაშორისო განზომილების გაუმჯობესებას. ○ სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციას შეუძლია იყოს უფრო პროაქტიური პროგრამის განხილვასა და გავრცელებაში საზოგადოების საჭიროებების მნიშვნელობის კუთხით, კერძოდ საკუთარ პერსონალთან, რომელიც შეხვედრების დროს ზოგიერთ დეტალში გაურკვევლები ჩანდნენ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - ჩამოაყალიბეთ პროგრამის მენეჯმენტის მუდმივი სამუშაო ჯგუფი/კომიტეტი. - მეტი ყურადღება დაუთმეთ პროგრამის გასაჯაროვებასა და მარკეტინგს, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე. - მუდმივად განახლდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამა სამართლის ფაკულტეტის სექციაში.

- უზრუნველყავით, რომ პროგრამის სრულიად სასწავლო პერსონალს აქვს უმაღლესი აკადემიური ხარისხი და წარმოადგენს სამართლის პროფესორს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

სამართლს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების დანერგვა, რომელიც რეგულარულად უზრუნველყოფს და აფასებს პროგრამის განხორციელების ხარისხს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

GTTU-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან და პროგრამიდან ჩანს, რომ პროგრამას

აქვს 1 მთავარი ამოცანა, 6 მიზანი და 8 სწავლის შედეგი. ექსპერტთა ჯგუფმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა უფრო მეტ ყურადღებას უნდა ამახვილებდეს პროგრამის ერთ მთავარ მიზანსა და სპეციფიკაზე, და არა ზოგადზე, უნარებსა და ცოდნაზე. პროგრამის სუსტ მხარეს წარმოადგენს, როდესაც ზოგიერთი სწავლის შედეგი ზედმეტად ჩამოყალიბებულია და მიუთითებს კერძო სამართლის ინსტიტუტების კონკრეტულ საგნებზე. მაგალითად, „სწავლისა და გაცნობიერების ქვეშ", არ არის საჭირო კონკრეტული თემების დასახელება. სანაცვლოდ, ადგილი უნდა დაეთმოს დისციპლინათაშორისი და ინტეგრირებული ცოდნისა და უნარების განვითარებას. ეს მაგისტრატურის საფეხურის პროგამაა და ყურადღება არ უნდა იყოს გამახვილებული კერძო სამართლის, საბანკო სამართლ̂ის, სადაზღვევო სამართლის ზოგად აღქმაზე, არამედ უფრო სიღრმისეულ და ინტეგრირებულ პროფესიულ ცოდნას უნდა დაეთმოს ყურადღება, ასევე კრიტიკულ აზროვნებას, კვლევით უნარებსა და პროფესიულ კომპეტენციებს.

მართალია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები თანმიმდევრული ჩანს სამართლებრივ მოთხოვნებთან და ზოგადად შეესაბამება მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების დონესა და ტიპს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, რაც ყურადღებას საჭიროებს. კერძოდ, უნდა დაკონკრეტდეს ორი ელემენტი.

პირველი ელემენტი ეხება პროგრამის ზოგად მიზანს. როგორც უკვე ითქვა, პროგრამის ზოგადი მიზანია მოამზადოს სამართლის სპეროს სპეციალისტები, რომელთაც აქვთ კარგი ცოდნა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ითქვასმ პროგრამა ძირითად ყურადღებას აქცევს სამართლებრივი სწავლების შიდა განზომილებას. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემის სათანადო ცოდნა, კარგი იურისთისთვის *condicio sine qua non* -ს წარმოადგენს. თუმცა, ასეთი ცოდნა მოიცავს (წინაპირობაა) საერთაშორისო სამართლის წყაროების სიღრმისეულ ცოდნას. ამ სცენარის ფონზე, საკმაოდ გამაოცებელია ის გარემოება, რომ ზოგიერთ დოკუმენტში არ არის მითითებული სამართლებრივი სწავლების საერთაშორისო სივრცის სათანადო ცოდნის საჭიროება. ის ფაქტი, რომ ასეთი განზომილება არ წარმოადგენს პროგრამის დიზაინის პრიორიტეტს, დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს. თავისთავად აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ყურადღება გაამახვილეს მხოლოდ შიდა დიდაქტიკაზე, საერთაშორისო სამართლის კურსების მითითების გარეშე. სამართლებრივი სწავლების საერთაშორისო განზომილებაზე დაბალი მნიშვნელობის მინიჭება აისახება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების რეალურ შეთავაზებებზე, რაც საკმაოდ შეზღუდულია. ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს პოზიციას, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უნდა გადაიხედოს ისე, რომ ხაზი გაესვას საერთაშორისო სამართლის როლის მნიშვნელობას იურისტთა სათანადო განათლების მიღების უზრუნველყოფაში.

მეორეც, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი აღნიშნული პროგრამა უმთავრესად ეთმობა სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კვლევითი შესაძლებლობები დღეს მნიშნელოვან ხელსაწყოს წარმოადგენს იურისტებისთვის, რომლებიც სამომავლოდ შეძლებენ საჭირო სამართლებრივი ჩარჩოს შეცვლას, ასევე აღმოაჩენენ მის ხარვეზებს პრაქტიკის საფუძველზე. სამწუხაროდ, კვლევითი უნარები და კრიტიკული აზროვნების უნარი არ არის ნახსენები იმ უნარებში, რომელთა შეძენაც ხდება აღნიშნულ პროგრამაზე დამსწრე სტუდენტების მიერ. ადგილზე ვიზიტის დროს, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გამართული ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ კვლევითი აქტივობები არ წარმოადგენს პროგრამის პრიორიტეტს. კერძოდ, როგორც ჩანს აკადემიკოსები, არ არიან ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. შესაბამისად, საკმაოდ შეზღუდულია მათ მიერ სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა. ამ ყოველივის ფონზე, უნდა აიხსნას, თუ როგორ ხდება ამ გადამწყვეტად მნიშნელოვანი უნარის მიწოდება სტუდენტებისთის.

კორელაცია პროგრამის მთავარ მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის, სწავლის შედეგებსა და თითოეული კურსის მოდულს შორის არ არის სრულად ნათელი და კარგად განსაზღვრული. ისინი უმეტეს ყურადღებას უთმობენ სამართლის სასწავლო საგნების ზოგადი უნარებისა და ცოდნის განვითარებას, ასევე საკომუნიკაციო და სწავლის უნარებს. პროგრამის შინაარსისა და კურსის სილაბუსების ანალიზიდან რთულია იმის დადგენა, თუ რა განსხვავებაა ამ პროგრამასა და სამართლის საბაკალავრო პროგრამას შორის. ეს დებულება განტმკიცდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეხვედრებისა და ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას იმაზე, თუ რა გზით ხდება პროგრამის მიზნებისა და მასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების გასაჯაროვება. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია საკმარისად გაცნობიერებული აქვთ პროფესორებს, სტუდენტებსა და სოციალურ პარტნიორებს. კიდევ უფრო ნაკლებად ნათელია ფართო საზოგადოებისთვის გათვლილი სარეკლამო სტრატეგია. GTTU-ს პერსონალმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტის რეპუტაცია ყველაზე კარგი რეკლამაა. ეჭვგარეშეა, რომ დაწესებულების რეპუტაცია დიდ დადებით ასპექტს წარმოადგენს ახალი სტუდენტების მოზიდვაში. თუმცა, ჩანს, რომ უფრო მეტად სტრუქტურული სარეკლამო კამპანია იქნებოდა მომგებიანი.

რაც შეეხება სწავლის შედეგების აღწერას, სასურველია მკაფიო მითითება სათანადო გაგებასა და შესაძლებლობაზე, რომ განვითარეს კრიტიკული აზროვნება, შესაბამისი პრეცედენტული სამართლის კვლევითი ანალიზის უნარი (რაც არ არის ნახსენები ამჟამინდელ დოკუმენტებში). ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ეს დაეხმარებოდა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებაში, ისეთი რთული პრობლემების აღმოჩენასა და გამკლავებაში, რომლებიც დაკავშირებულია საკანონმდებლო დოკუმენტების შექმნასთან და საერთაშორისო საზოგადოებაში გამოყენებასთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და დამსაქმებლებს სხვადასხვა აღმა აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების კონტექსტსა და მნიშვნელობაზე. შეძენილ საერთო და დარგობრივ კომპეტენციებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის მეტი მკაფიოობა, სწავლის შედეგებთან პროგრამის ჰარმონიზაციას შეუწყობს ხელს და შესაბამისი იქნება მოსალოდნელ შედეგებთან. პროგრამა თავად მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს დარგობრივ კურიკულუმს, ამოიღოს ზოგადი საგნები, რომლებიც შეესატყვისება საბაკალავრო სწავლებას.

აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ყველა დაინტერესებული პირი მონაწილეობს სწავლის შედეგების შეფასებაში. ისინი ხელს უწყობენ პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სამაგისტრო სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობასთან. შეფასება ხორციელდება გამოკითხვებით და პირდაპირი ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის აღწერილობა
- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან და მენეჯმენტთან.
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- გასაუბრება აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან .
- გასაუბრება დასაქმებულების წარმომადგენლებთან.
- GTTU-ს ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამის წავლის შედეგები უნდა გადაიხედოს, რათა გახდეს უფრო შეჯერებული და გამოხატავდეს ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებს პროგრამისთვის, რომელიც იყენებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს.
- სოციალურ პარტნიორებს (დამსაქმებლებს), აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს სრულყოფილად უნდა ჰქონდეთ გააზრებული სწავლის შედეგები და მიზნები და უნდა დაურთონ ისინი მთლიან მეთოდოლოგიას.
- უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ამოცანების, მიზნებისა და სწავლის შედეგების აღწერის

საჯაროდ ხელმისაწვდომობა, სადაც გამოჩნდება მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და პროფესიულ ცოდნასთან, უნარებთან და კომპეტენციებთან.

- გამორიცხეთ საერთო და სექტორული კომპეტენციები იმისათვის, რომ უფრო გასაგები გახდეს ურთიერთკავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე კურსის კურიკულუმის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, ყურადღება მიექცეს, რომ ეს პროგრამა სპეციალიზდება მაგისტრატურის საფეხურზე და სწავლის შედეგებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევის შემუშავებას, კრიტიკულ აზროვნებას ან ინტერდისციპლინარულ უნარებსა და პროფესიულ კომპეტენციებს, რომლებსაც შეიძენენ მხოლოდ კონკრეტული საკურსო მოდულებით.
- მკაფიოდ განსაზღვრეთ და განასხვავეთ საერთო და დარგობრივი კომპეტენციები სწავლების პირველი ციკლის (ბაკალავრიატი) და მეორე ციკლისთვის (სამაგისტრო საფეხური) საჭირო დაშვების მოთხოვნების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და სოციალურ პარტნიორებს შორის საკომუნიკაციო არხები უნდა იყოს ინსტიტუციალიზირებული და სტანდარტიზირებული და უზრუნველყოფდეს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს.
აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია უფრო დეტალურად აღწერილი სწავლის შედეგები აწარმოოს ხარისხის საბოლოო პროექტისთვის საგნის მოდულის სილაბუსის ფარგლებში, რაც პასუხობს პროგრამის მთავარ ამოცანას.

სასურველი იქნება, თუკი გაზრდით ისეთი კურსების რაოდენობას, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო ან ევროპული განზომილების შინაარს, იმისათვის რომ გაძლიერდეს პროგრამის საერთაშორისო და კულტურათაშორისი არეალი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების სათანადო წინაპირობები. უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა. დაშვების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები აძლევს შესაძლებლობებს როგორც საქართველოს მოქალაქეს ასევე უცხოელ მოქალაქეებს მიმათონ აღნიშნულ პროგრამას. პროგრამის ფარგლებში ასევე მოთხოვნილია დაშვების საუნივერსიტეტო პირობები: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხო ენაში (B2).
მტკიცებულებები/ინდიკატორები დაშვების ზოგადი წინაპირობები გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე; გაწერილია პროგრამაში. საქართველოს სამართლებრივი აქტები.

ინტერიუ ვიზიტის დრო.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო დეტალურად გაიწეროს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მაგ.: მიეთითოს ის აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ დაშვების წესსა და პროცედურებს. მეტად გასაგები გახდება აბიტერიენტებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აგებულია პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების თაობაზე უნივერსიტეტის მეთოდოლოგიური დოკუმენტის საფუძველზე. ეს დოკუმენტი მიღებულია 2017 წელს. მოგვიანებით მასში შევიდა ცვლილებები.

პროგრამა შეიცავს სარჩევს, რაც ამარტივებს ძიების პროცესს, ასევე, თავიდანვე უქმნის წარმოდგენას მკითხველს სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ. პროგრამის დიზაინი ლოგიკური, თანმიმდევრული და ხილვადია. პროგრამის შინაარსი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, კერძოდ პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, სტუდენტთა შეფასების სისტემას, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდოლოგიას, სასწავლო გეგმას, სწავლების პროცესის ორგანიზების ასპექტებს, ფინანსურ ასპექტებს, ხარისხის განვითარების ნუანსებს, პროგრამის განხორციელების აუცილებელ მატერიალურ რესურსს, საკადრო რესურსს. შინაარსი შეესაბამება საქართველოს კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს იმ ნაწილში სადაც ეს მოთხოვნილია.

პროგრამა სპეციალიზირებულია კერძოს სამართლის მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამების სპეციალიზება უნდა ჩაითვალოს კარგი პრაქტიკის განვითარებად. ასეთი პროგრამები სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაიმდიდროს ცოდნა კონკრეტულ სფეროებში, მიიღოს ღრმა და სისტემური ცოდნა, გაიძლიეროს პრაქტიკული და კვლევითი უნარები. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის ასეთი სპეციფიკის გამო გადაწყვიტეს ამ უნივერსიტეტში ჩარიცხვა.

პროგრამის კურსები განაწილებულია მოდულებში - სავალდებულო, არჩევითი, პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. შედეგად, თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების მიქსი ეფექტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამა

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას აქვს ხილვადობა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის კონტექსტში. აღნიშნული სქემატურადაც კარგად არის ასახული თავად პროგრამაში.
სასწავლო მასალა/ლიტერატურა, რაც გაწერილია სილაბუსებში, განთავსებულია ბიბლიოთეკაში ელექტრონული თუ ბეჭდური ფორმით. ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკაში შექმნილი თბილი/მყუდრო გარემო უნდა დასახელდეს პროგრამისა და უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ. ბიბლიოთეკა ორგანიზებულია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტების სწავლითი და კვლევითი აქტივოებების განხორციელებას.

სილაბუსებში აღწერილი ძირითადი სასწავლო ლიტერატურა უმეტესწილად ქართულენოვანია შემუშავებული ქართველი ავტორების მიერ. რამოდენიმე ლიტერატურა თარგმნილია ქართულ ენაზე. თვით-შეფასების ანგარიშშიც აღნიშნულია, რომ პროგრამა არ შეიცავს უცხო ენების სწავლებას და ეს პროგრამის სუსტი მხარეა. ეს ფაქტი, ერთგვარად, ხელისშემშლელია შედარებითი კვლევითი ეფექტური საქმიანობისთვის. ამიტომაც, სამაგისტრო ნაშრომებშიც მწირია უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების ფაქტები. რამდენადაც უნივერსიტეტი თავად აღნიშნავს ამ ასპექტს, იმდენად გეგმავენ კიდეც უცხო ენების სწავლების მოტივაციის პოლიტიკის განვითარებას ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტროს სტუდენტებს და კურსდამთავრებულს აქვთ უცხო ენის (ინგლისურის) შინაარსის კარგად აღქმის უნარი, რაც დადასტურდა ინტერვიუს დრო. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ ინგლისურ ენაზე გვპასუხობდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამა

სილაბუსები

ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია განვითარდეს უცხო ენების სწავლების სისტემა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწავლის შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია კომუნიკაციასთან. სასურველია სილაბუსებში ასახვა ჰპოვოს უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტილებებმა რეკვიზიტების მითითებით, მათ შორის წლების. აღნიშნული დაადასტურებდა, რომ გამოყენებულია უახლესი სასამართლო პრაქტიკა. ეს ასევე გაუადვილებდა და გაუმარტივებდა სტუდენტებს ლიტერატურის მოძიების პროცედურას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისა და შეთავაზებული კურსების თანახმად, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე, დიდწილად განავითაროს კვლევითი უნარები. დადებულია მემორანდუმები და შეთანხმებები სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან პრაქტიკის ან სტაჟირების გავლის მიზნით. სტუდენტა უმრავლესობა ჩართულია პროფესიულ პრაქტიკაში.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია. ამიტომაც ლექციების განრიგი მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს. ძირითადად სამაგისტრო პროგრამის სწავლება მიმდინარეობს საღამოს საათებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უფასო ავტობუსებს სტუდენტებისთვის.

პროგრამა მოიცავს მოთხოვნას არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მიმართ, არამედ სპეციალურ კურსებს სამაგისტრო ნაშრომის კარგად მომზადების მიზნით: სამაგისტრო ნაშრომის წერა და კვლევითი მეთოდები.

უნივერსიტეტი სისტემატიურად ახორციელებს კონფერენციებს. სტუდენტები მონაწილეობენ კონფერენციებში. ორგანიზებულია სპეციალური და პერიოდული ლექციები და სემინარები უცოელი პროფესორების მხრიდან.

სტუდენტთა უმრავლესობა არის ის, ვინც აქვე გაიარა საბაკალავრო საფეხურის სწავლება. ზოგიერთი სტუდენტი სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა მეგორების, ნათესავების, ახლობლების რჩევით. ყველა სტუდენტი აღნიშნავს, რომ ისინი ბედნიერები არიან, რამეთუ ჰყავთ ძლიერი აკადემიური პერსონალი და აქვთ საუკეთესო მეგობრული გარემო.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, სტუდენტებს აქვთ საკითხებისა და ხელმძღვანელების არჩევის შესაძლებლობა.

ამ პროგრამის ფარგლებში დასაქმებულებმა სთხოვეს უნივერსიტეტს - სამაგისტრო ნაშრომების საკითხთა წრის განსაზღვრისას გაითვალისწინონ დამსაქმებელთა საჭიროებები, კერძოდ, განხორციელდეს კვლევები ისეთ სფეროებში, რომლებიც მოთხოვნადი და არსებითია (განსაკუთრებით მოსამართლეებს სჭირდებათ სამართლის ახალი ინსტიტუტების, პრაქტიკისა და სამართლის სხვადასხვა სკოლების ფარგლებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია). აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტმა მიიღო მხედველობაში ასეთი მოთხოვნა და შეადგინა საკითხთა ნუსხა დამსაქმებლების მოთხოვნებისა და აქტუალურობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამა;

მემორანდუმები და შეთანხმებები; ინტერვიუ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან; თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პრაქტიკაში გაამყარონ სამაგისტრო ნაშრომების მომზადების წესები და პროცედურები, კვლევის დაგეგმვის ასპექტები, აკადემიური წერის მოთხოვნები. გაძლიერდეს ხელმძღვანელების მხრიდან ზედამხედველობის მექანიზმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2017 წელს, აკრედიტაციის ახალი სტანდარტების ძალაში შესვლის შემდეგ, უნივერსიტეტმა მიიღო ახალი აქტები, მათ შორის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს პროგრამის პერსონალმა გულწრფელად და პირდაპირ აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები ახალია და ჯერ კიდევ საჭიროებენ პრაქტიკაში ინტეგრირებასა და მოქმედების შემოწმებას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი შეიცავს სხვადასხვა ინსტრუმენტებს - სწავლის შედეგების რუკის სისტემას, ინდიკატორებს, შეფასების მეთოდებს, მონიტორინგის მექნიზმებს და სხვა. ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ სწავლებისა და სწავლის შედეგების მეთოდების შემოწმებისა და ინსპექტირების სისტემა დაინერგება, რომელიც მხედველობაში მიიღებს, როგორც კურსების შინაარსს ასევე, სწავლის საფეხურსაც. გარდა ზემოაღნიშნულისა, უნივერსიტეტმა მიიღო სხვა ახალი მრავალი აქტი პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ახალი სტანდარტების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამა ინტერვიუ უნივერსიტეტის აქტები სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასების სისტემა ეფუძნება საკანონმდებლო მოთხოვნებს. თითოეული კურსის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების ინდივიდუალური მეთოდები.
სტუდენტებს აქვთ საკონსულტაციო საათები აკადემიურ პერსონალთან, სადაც მათ შეუძლიათ ინდივიდუალურად და პრივატულად გაარკვიონ ან ნათელჰყონ შეფასების ასპექტებთან დაკავშირებული ნუანსები.
არ ყოფილა სტუდენტების მხრიდან შეფასების შედეგების გასაჩივრების პრაქტიკა. სტუდენტებმა იციან, რომ მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, თუმცა კარგად არ იცნობენ გასაჩივრების პროცედურებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამა

ინტერვიუ

სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ განთავსდეს ინფორმაცია შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურების თაობაზე ან სხვა ფორმით მიაწოდონ ინფორმაცია სტუდენტებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტი იღებს ჯეროვან კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარირეულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და სხვა მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის ტუტორი და აკადემიური პერსონალი მუდად მზად არიან დაეხმარონ სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებაში და უპასუხონ მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აკადემიური რეგისტრაციის ფარგლებში, თითოეული სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა, მოახდინოს სემესტრული სასწავლო გეგმის ფორმირება. მათ შეუძლიათ აირჩიონ როგორც სასწავლო კურსები, ასევე პროფესორები. პროგრამის სტრუქტურა და ინფორმაცია სასწავლო კურსების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ამასთანავე, აკადემიური რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია უნივერსიტეიტის საინფორმაციო სტენდსა და ვებ-გვერდზე. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონს მათთვის სასურველი საგანი.

აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალის მეშვეობით. სასწავლო კურსების (მოდულების) და პროფესორ/მასწავლებლის არჩევის პროცესში ფაკულტეტი განსაზღვრას სტუდენტთა მინიმალურ რაოდენობას, რომელიც სავალდებულოა სასწავლო კურსის შეთავაზებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების თანახმად ეს რიცხვი 8-დან 10 სტუდენტემდე მერყეობს. იმ შემთხვევაში თუ კურსზე რეგისტრირებულია დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები სტუდენტი, მაშინ ხდება სტუდენტების სხვა საგანზე რეგისტრაცია მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ძალიან ეხმარება და მუდამ მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; სალექციო ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტებს საშაუალება აქვთ აირჩიონ მათთვის სასურველი დრო.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერიტეტში არსებული სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. პროგრამის ერთი სემესტრი (30 ECTS კრედიტი) ეთმობა პროფესიულ პრაქტიკას. უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში

სტუდენტებს შეუძლიათ, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, გაიარონ სტაჟირება.

მთლიანობაში, სტუდენტები და კურსდამთავრებულები უაღრესად კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებითა და საკონსულტაციო მომსახურებით. ისინი უნივერსიტეტის ერთ-ერთ გამორჩეულ მახასიათებელად და პროგრამის არჩევის მიმზეზად სწორედ ამ ფაქტორს ასახელებენ.

სტუდენტები ფლობენ სათანადო ინფორმაციას და აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით აქტივობებში. აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სხვდასხვა გზით. კერძოდ, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური/მოწვეული პერსონალი მათ სრულ ინფორმაციას აწვდის. ამასთანავე, ინფორმაცია ჯგუფებში სისტემატიურად ცხადდება, საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ქვეყნდება, სტუდენტებს მობილურ ტელეფონის ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეგზავნებათ.

დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია ძალიან გამჭვირვალეა და თითოეულ სტუდენტს აქვს მონაწილეობის შესაძლებლობა. სტუდენტების შერჩევის პროცესიც (საჭიროების გათვალისწინებით) გამჭვირვალეა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სამეცნიერო და სხვა აკადემიურ აქტივობებში მაგისტრატურის სტუდენტების ჩართულობა ძალიან დაბალია. გასაუბრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ამის მიზეზად დაასახელეს მათი დასაქმება და დატვირთული გრაფიკი, რაც ხელს უშლის მსგავს ღონისძიებებში მათ მონაწილეობას. ამასთანავე, უნივერსიტეტში მაგისტრანტებისთვის საერთაშორისო აქტივობების სიმცირეა. გარდა ამისა, დაბალია სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონეც, რაც მათ ხელს უშლის მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში და კვლევით აქტივობებში.

აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. სტუდენტებს პროგრამის აკადემიურ/მოწვეულ/ადმინისტრაციულ პერსონალთან კარგი და ინტენსიური კომუნიკაცია აქვთ. თითოეული კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია ოფიციალურად დადგენილი საკონსულტაციო საათები. ამასთანავე, საგნების საკონსულტაციო საათების გრაფიკი საინფორმაციო დაფებზეა გამოქვეყნებული. გარდა ამისა, სტუდენტებს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან სამუშაო საათებში არაფორმალურად კომუნიკაციის შესაძლებლობა ყოველთვის აქვთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

* თვითშეფასების ანგარიში;

* უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-01/59 სტუდენტების მხარდამჭერი

სერვისების შესახებ;

* ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;

* ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

* ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;

* ინტერვიუ სტუდენტებთან;

* ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;

* ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სხვა სოციალურ პარტნიორებთან;

* სილაბუსები;

* უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

* მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა შიმუშავოს მოტივაციის მექანიზმები სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის, რათა უზრუნველყოს მათი მეტად ჩართულობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტიბობებში.

* მიზანშეწონილია შეიქმნას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის შესაძლებლობები სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

* სასურველია გაგრძელდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობების რიცხვი.

* სასურველია დაინერგოს კომუნიკაციის მექანიზმები სტუდენტებსა და ფაკულტეტის წევრებს/აკადემიურ პერსონალს შორის ელექტრონულად, პირდაპირ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები განსაზღვულია გთუნი-ში შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით, რომლის თანახმადაც, მაგისტრანტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის ხარისხი. თუ სამაგისტრო ნაშრომი ითვალისწინებს მომიჯნავე სპეციალობების კვლევასაც, ამ შემთხვევაში მაგისტრანტს შეიძლება დამატებით დაენიშნოს კონსულტანტი, რომელიც არის მოცეული მომიჯნავე მიმართულების სპეციალისტი და აქვს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

თითოეულ აკადემიურ სემესტრში, ერთი პროფესორი შესაძლებელია ხელმძღვანელობდეს 3-5 მაგისტრანტს. თუმცა, სამაგისტრო თემების რეგისტრაციების მიხედვით გვხვდება განსხვავებული განაწილებაც (5-ზე მეტი მაგისტრანტი ერთ პროფესორზე). ამასთანავე, იყო იშვიათი შემთხვევები, როცა პროფესორს არ უდასტურდებოდა საკვლევი თემის

შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

მაგისტრანტებისთვის სამაგისტრო თემის ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის პროცესი გამჭვირვალე და მოქნიალია; ეფუძნება სტუდენტების ინტერესების, საჭიროებებისა და სურვილების მაქსიმალურად გათვალისწინებას.

უნივერსიტეტში შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის პროცესს სრულად. ამ ნორმატიულ აქტში მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგია, ხელმძღვანლის უფლება-მოვალეობები და აღწერილია ხელმძღვანელობის პროსეცის თაანმიმდევრობა. უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი სათანადოდ არ იცნობს ზემოაღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესს. ხელმძღვანელი ეხმარება მაგისტრანტს ბიბლიგრფიის დამუშავებასა და სამუშაო გეგმის შედგენა/დაზუსტებაში. პერიოდულად ამოწმებს თემაზე მუშაობის მიმდინარეობას, კონსულტაციების სახით ახორციელებს მაგისტრანტის მიერ შესრულებული სამუშაოს გარკვეულ კორექტირებას.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს საშუალება გვქონდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სამაგისტრო ნაშრომებს გავცნობოდით და უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო რესურსების გამოყენება საკმაოდ მწირია. მიუხედავად იმისა, რომ უნივესიტეტს აქვს კარგი საბიბლიოთეკო რესურსი, მათ შორის საერთაშორისო ბაზებთან წვდომა. ამის მიზეზი შესაძლოა სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე იყოს.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პერიოდში ხელმძღვანელი რეგულარულად უწევს კონსულტაციებს მაგისტრანტს. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკაზე. მაგისტრანტისთვის საკონტაქტო საათები, რომელიც ეკუთვნის მას კონსულტაციებისათვის სილაბუსით გაწერილია 100 საათის მოცულობით. ხელმძღვანელი მაგისტრანტს კონსულტაციას უწევს კვლევის განხორციელებაში; განსაზღვრავს კვლევის ობიექტს, სადაც უნდა ჩატარდეს კვლევა და მოხდეს მაგისტრანტის მიერ მასალების მოძიება; ნაშრომის ძირითად ნაწილზე მუშაობის დასრულებისას ხელმძღვანელი აკეთებს ტექსტის კორექტურას და ამზადებს მაგისტრანტს კათედრაზე წინასწარი მოსმენისათვის. ნაშრომის საბოლოო კორექტირების შემდეგ ხელმძღვანელი ვიზირებას უკეთებს ნაშრომს, რის შემდეგაც ის გადეცემა რეცენზენტებს. ხელმძღვანელი ასევე ამზადებს მაგისტრანტს ნაშრომის დაცვისთვის. ისმენს მის გამოსვლას და ამოწმებს საპრეზენტაციო მასალას.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ამზადებს წერილობით დასკვნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

* თვითშეფასების ანგარიში;

* სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;

* მაგისტრატურის დებულება;

* ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;

* ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

* ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;

* ინტერვიუ სტუდენტებთან;

* ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;

* შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- მიზანშეწონილია აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სტუდენტები უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესს დეტალურად გაეცნონ და დაიცვან/აღასრულონ დადგენილი რეგულაციები.

* მიზანშეწონილია გაიზარდოს საერთაშორისო რესურსების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას. ასევე, გაგრძელდეს მუშაობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესში საერთაშორისო სტანდარტების იმპელენტაციის მიმართულებით.

* მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი განისაზღვროს უნივერსიტეტის რეგულაციების დაცვით და პროფესორის სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია დაინერგოს ხელმძღვანელის პერიოდული ანგარიშგების მექანიზმები ხელმძღვანელობის პროცესში სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაოსა და მიღწევების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორებისაგან. მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, რათა უზრუნველყონ მათთვის განსაზღვრული დისციპლინის სწავლება. მათი უმეტესი ნაწილს გააჩნია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი და აქტიურად არის ჩართული პროფესიულ განვითარების პროცესში.

უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალისა და მოწვეულ პედაგოგთა შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, რომელიც ცხადდება საჯაროდ და ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვეგ-გვერდზე. წინასწარ ბრძანებით განისაზღვრება პირის კვალიფიკაცია და წარმოსადგენი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის გადარჩევის შემდგომ პირის საბოლოო შერჩევა ხორციელდება ინტერვიუს საფუძველზე. უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგის შერჩევა ასევე ღია კონკურსის წესით ხორციელდება. მათი პირადი საქმეების დათვალიერების შემდგომ, დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია და ცოდნა სრულად არის შესაბამისი აუცილებელი ცოდნის გამომუშავებისათვის.

* შესწავლილი იქნა პროგრამაში ჩართული ყველა პირის პირადი საქმე. აკადემიური პერსონალი მუდმივად არის ჩართული სამეცნიერო კვლევებში. მათ მიერ წლის განმავლობაში მუშავდება და ქვეყნდება არაერთი სამეცნიერო სტატია. აღინიშნა რომ ყოველწიურად ტარდება საუნივერსიტეტო კონფერენცია, სადაც სტუდენტები წარადგენენ საკონფერენციო თემებს, რომელიც მომზადებულია სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით. წარმატებული თემები იბეჭდება საუნივერსიტეტო ჟურნალში „ცხოვრება და კანონი“. თუმცა გამოკითხვისას აღინიშნა, რომ აღნიშნული საქმიანობისათვის გათვალისწინებული არ არის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული გარკვეული თანხა სამეცნიერო საქმიანობისათვის. აკად. პერსონალისათვის ჰონორარის გადახდა ხორციელდება მხოლოდ ჩატარებული სალექციო საათებისა და სამაგისტრო ნაშრომის ავტორობისათვის. სამეცნიერო კვლევების ფინანსურ მხარდაჭერას უნივერსიტეტის არ ახორციელებს.

უნივერსიტეტის აკად. პერსონალის მიერ (მაგ. რომან შენგელია, შალვა ქურდაძე) გამოცემული იქნა არაერთი სახელმძღვანელო სამართლის სხვადასხვა საკითზე. აღნიშნული სახელმძღვანელო აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა უსდ-ში, მხოლოდ ორი მათგანის წინასიტყვაობაში არის მითითებული, რომ მათი გამოცემა მოხდა გთუნის ფინანსური მხარდაჭერით. სასურველია უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი იქნეს მეტი

სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა.

*აკად. პერსონალის მიერ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო სტატიები უმეტესად ქვეყნდება ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც იბეჭდება მატერიალური სახით. აღნიშნული ჟურნალის შესახებ ინფორმაცია საძიებო სისტემაში არ მოიძებნა.

ამასთან, იგი არ არის განთავსებული სააპელაციო სასამართლოს სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკაში. სასურველია ნაშრომების გამოქვეყნება მოხდებს სხვა უფრო ხელმისაწვდომ პუბლიკაციებში. ამასთან, ნაშრომთა ელექტრონული ფორმით არ არსებობა ართულებს მათ გაცნობას და ცნობადობას.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს ჩაერთოს სამეცნიერო კვლევაში და მისთვის საინტერესო თემაზე დაამუშავოს სამეცნიერო სტატია. საუკეთესო ნაშრომების წარდგენა ხდება კონფერენციაზე და იბეჭდება საუნივერსიტეტო ჟურნალში. ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომს უნდა ჰყავდეს აკადემიური ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია ნაშრომის ხარისხზე. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ძირითადად დასაქმებულია ან სტაჟირების პროგრამას გადის სხვადასხვა დაწესებულებაში. მათი ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში მწირია. გამოკითხულ სტუდენტთაგან არც ერთი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას სამეცნიერო სტატია/ნაშრომი არ მოუმზადებია.

უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალის და მოწვეულ ლექტორთა კვალიფიკაცია შესაბამისობაში დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და ფუნქციებთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალს დიდი ნაწილი ვერ საუბრობს ინგლისურ ან სხვა რომელივე ევროპულ ენაზე. შესაბამისად, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ჩაერთონ საერთაშორისო პროგრამებში. უცხო ენის არასაკმარისად ცოდნა აისახება სილაბუსებში, სტატიებსა და სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომებში. მათში მინიმალურადაა გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა.

ვიზიტისას შემთხვევითი შერჩევით დათვალიერდა 10 სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც წარმატებით არის დაცული. ნაშრომთა შერჩევისას მწირად არის გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა. მიუხედავად, იმისა რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს სამეცნიერო ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. რამდენიმე ნაშრომში ევროპულ ენოვანი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მასალ საერთოდ არ იყო გამოყენებული. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უსდ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს ნაშრომის მომზადებაში, აკონტროლოს ნაშრომის მომზადების პროცესი და მოამზადოს დასკვნა. ინტერვიუს დროს გამოკითხული პერსონალის მითითებით თითოეული პროფესორს საშუალოდ 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელია. თუმცა მოწოდებული დოკუმენტაციით დადგინდა, რომ მაგისტრანტთა რაოდენობა ბევრად განსხვავებულია. ხშირ შემთხვევაში 11-12-მდეც აღწევს. პერსონალის აკადემიური დატვირთულობის გათვალისწინებით, უმჯობესია აღნიშნული რაოდენობა შემცირდეს ხელმძღანელის დატვირთულობის პროპორციულად.

აკადემიური პერსონალის რამდენიმე წევრი დასაქმებულია სხვა უსდ-ში. ასევე რამდენიმე მათგანი ეწევა პრაქტიკულ საადვოკატო საქმიანობას. პროგრამას ჰყავს 8 აკადემიური, საიდანაც ყველა აფილირებულია, ხოლო 1 მოწვეული პერსონალი. პროგრამაში

ჩარიცხულია 61 სტუდენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა კონსულტირებაში. თითოეულ სილაბუსში გათვალისწინებულია საკონსულტაციო დღე და საათი. ასევე, საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და კათედრაზე. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის მეთოდებით შერჩეული იქნა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი. დათვალიერებული ნაშრომების ვერ პასუხობს უსდ-ს მიერ დადგენილ სტანდატებს. მთელ რიგ ნაშრომებში არ არის იდენტიფიცირებული ნაშრომის მიზანი, მეთოდი, პრობლემა და დასკვნა. მიუხედავად ამ ხარვეზებისა ნაშრომი დაცული იქნა.

პროგრამის ხელმძღვანელია ლევან დოღონაძე, რომელსაც 2008 წლიდან იყო დასაქმებული ერთ-ერთი უსდ-ში. 2010 წელს მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი და ამჟამად ამ უსდ-ს პროფესორია. იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში. მას გააჩნია

პროგრამის წარმოებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უძღვება სალექციო კურსს ვალდებულებით სამართალში, საკორპორაციო სამართალსა და მორალური ზიანის ანაზღაურების დისციპლინაში. მისი სადისერტაციო თემა შეეხებოდა მორალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დაიცვა 2009 წელს. ამავე საკითხზე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებასა და სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე 58 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

პროგრამის თვითშეფასება;

o პირადი საქმეები;

o ადგილზე დათვალიერება;

o ინტერვიუ პედაგოგებთან და აკადემიური პერსონალთან.

o ინტერვიუ სტუდენტებთან;

o სამაგისტრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია პროგრამაში შეთავაზებული იქნეს უცხოენოვანი საგანი;

o პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უმჯობესია გაძლიერდეს უცხო ენის სწავლების კომპონენტი;

o სამაგისტრო ნაშრომებში გაზრდილი უნდა იქნეს უცხოენოვანი ლიტერატურის წილი;

o სამაგისტრო ნაშრომები უნდა პასუხობდეს უსდ-ს მიერ დადგენილ სტანდარტებს. ნათლად უნდა იქნეს გამოყოფილი ნაშრომის მიზანი, მეთოდები, პრობლემა და კვლევის შედეგი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება უმეტესად ხორციელდება საუნივერსიტეტო ფარგლებში. მათ მიერ იქნება სამეცნიერო სტატიები, რომელიც იბეჭდება საუნივერსიტეტო ჟურნალში. სასურველი იქნება მათ ჩართვა თუ მოხდება სხვადასხვა გარე აქტივობაში. მათ შორის საუნივერსიტეტო კვლევა, სასტიპენდიო პროგრამა, სამეცნიერო კონფერენცია.

o პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით უკეთესი იქნებოდა აკადემიური პერსონალისათვის უცხო ენის ცოდნის ამაღლება.

o სამაგისტრო ნაშრომთა შედგენისას აუცილებელი გამოყენებული იქნეს უცხოენოვანი მასალა. ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის (გარდა ნორმატიული აქტებისა) რაოდენობა საკმაოდ მწირია, ხოლო მათ შორის არსებობდა ნაშრომები რომლებშიც ევროპულ ენოვანი ლიტერატურა საერთოდ არ იყო გამოყენებული. შედეგების გაუმჯობესებისათვის სასურველი იქნა სამაგისტრო ნაშრომებში ფართოდ იქნეს გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა.

o დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უახლესი ცოდნით აღჭურვილი პერსონალის დიდი ნაწილის არ ფლობს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენებს. შესაბამისად, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაეცნონ უახლეს მასალას და მიუთითონ სტუდენტებს აღნიშნული მასალის გამოყენების შესახებ. აღნიშნული პრობლემის არსებობას ადასტურებს უცხოენოვანი ლიტერატურის სიმწირე ნაშრომებსა და სტატიებში. სასურველია თუ კვლევების განხორციელებისა დ ნაშრომების შექმნის პროცესში თუ კონსულტირებას გაუწვეს პირი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროგრამის ფარგლებში სასწავლო წლის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანთლებლო აქტივობა. სტუდენტები აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიურად არის ჩართული ამ ღონისძიებებში. რამდენიმეჯერ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შიგნით ტარდება საუნივერსიტეტო კონფერენცია, რომლის გამარჯვებული მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტთა შორის ორგანიზებულ კონფერენციაზე. საუკეთესო ნაშრომები ქვეყნდება ჟურნალში“ ცხოვრება და კანონი. ასევე, გამოიცემა შრომათა კრებული, სადაც

თავმოყრილია სხვადასხვა სამეცნიერო სტატია.

o უსდ-ში შექმნილია სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური ბაზა. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაცულია პროფესიული ლიტერატურა. ამასთან, ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, რომელშიც ხელმისაწვდომია უცხო ენოვანი სამეცნიერო პროგრამა. მასზე წვდომა შეუძლია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს. თუმცა სამაგისტრო ნაშრომებში უცხოენოვანი ლიტერატურის ძალიან მცირე რაოდენობითაა გამოყენებული.

o აკადემიური პერსონალის მიერ შეიქმნა რამდენიმე სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენება სხვა უსდ-ის სასწავლო პროგრამაში. ამ მათო გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფა მოახდინა უსდ, თუმცა აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევების ფინანსური უზრუნველყოფას ვერ ახდენს უსდ. შესაბამისად, აკადემიური პერსონალი საკუთარი ფულადი რესურსით არის ჩაბმული სამეცნიერო პროექტებში.

o უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართულია საერთაშორისო პროექტებში. უსდ ერაზმუზის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს სხვადასხვა უსდ-თან, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა. ასევე, მცირეა აკადემიური პერსონალის მიერ სხვა უცხო ქვეყნის უსდ ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად განხორციელებული ერთ უსდ-ს მიერ აქვს დამტკიცებული სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად, სამეცნიერო საქმიანობას უსდ უზრუნველყოფს სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებით. მაგ. მონოგრაფიის, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო შრომათა კრებულების, სამეცნიერო ნაშრომების, სტატიების მომზადებას. სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულები არიან პერსონალი, თუმცა უნივერსიტეტის მიერ სისტემურად არ ხორციელდება სამეცნიერო საქმიანობის შედეგად პერსონალის წახალისება და დაწინაურება.

o აღინიშნა, რომ სილაბუსების განახლება უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. სილაბუსების განახლება მოიცავს, როგორც თეორიული, ისევე პრაქტიკული კომპონენტის არსებობას. საბაკალვრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებში თითქმის არ არის მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებები (ნომერი, მიღების თარიღი), რომლის განხილვა უნდა მოხდეს სალექციო კურსის მანძილზე.

o მთელ რიგ სილაბუსებში, მაგ.: საერთაშორისო კერძო სამართალი, საზღვარგარეთი ქვეყნების საკონს. სამართალი, მედიაციის სამართალი, საგადასახადო სამართალი და აშ. არ არის მითითებული გამოყენებული ლიტერატურის გვერდები, რომელიც სტუდენტმა უნდა მოაზადოს. შესაბამისად, სასურველია ყველა სილაბუსის კალენდარულ გეგმაში მიეთითოს მოსამზადებელი მასალის რეკვიზიტები სრულად (მაგ. მუხლები, გვერდები);

o სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა საკმაოდ მოძველებულია. მაგ. დაზღვევის სამართალში ძირითად ლიტერატურად მითითებულია 1999 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც არასაკმარისია. ამასთან, დამხმარე ლიტერატურად მითითებულია 2001 წელს გამოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თითქმის არც ერთი საგანში სამოქალაქო სამართლის კომენტარის ახალი გამოცემა მითითებული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ინტერვიუ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან;

o თვითშეფასების ანგარიში;

o ბიბლიოთეკის სარგებლობი წესი;

o პირადი საქმეები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

სასურველია უსდ-ს მიერ ჩატარდეს პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება და შედეგების შესაბამისად, განხორციელდეს პერსონალის დაწინაურება და წახალისება.

o სილაბუსების განახლება მოხდეს თანამედროვე და უახლესი ლიტერატურით. ასევე, მიეთითოს გამოსაყენებელი სასამართლო გადაწყვეტილებები.;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია თუ აკადემიური/მოწვეული პერსონალი ჩაერთვება საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში;

o საუნივერსიტეტო ჟურნალი ხელმისაწვდომია მხოლოდ მატერიალური სახით და ელექტრონული ფორმით მისი მოძიება ვერ მოხერხდა. სასურველია, თუ საუნივერსიტეტო ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომები განთავსებული იქნება სხვადასხვა საბიბლიოთეკო სივრცეში. მათ შორის თუნდაც სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უსდ უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ელექტრონული სისტემებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელშიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ასევე, მატერიალური ფორმით არსებული იურიდიული ლიტერატურა. სილაბუსების შემოწმების დროს შემთხვევითი შერჩევის დროს შერჩეული იქნა 10 სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელო და მოძიებული იქნა ბიბლიოთეკაში. ყველა მათგანი ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის. ელექტრონული წიგნები განთავსებულია უსდ-ს ელექტრონულ პორტალზე და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. თითქმის ყველა აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერი და პროექტორი. ასევე, უნივერსიტეტის პირველ სართულზე განთავსებული კომპიუტერული ცენტრი, სადაც ტარდება ტესტური

გამოცდები. ამავე ცენტრის გამოყენება სტუდენტებს შეუძლიათ სასწავლო პროცესში.

ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია EBSCO სამეცნიერო ბაზა, რომელსაც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში. უნივერსიტეტის მატერიარულ ტექნიკური ბაზა სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. სტუდენტებისა და აკადემიურიპერსონალის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სამეცნიერო ბაზის მეშვეობით მათ საშუალება აქვთ გაეცნონ და გამოიყენონ სამეცნიერო ლიტერატურა. სტუდენტების მითითებით საკმაოდ ხშირად იყენებდნენ სამეცნიერო ბაზებს. თუმცა შემოწმებულ სამაგისტრო ნაშრომებში აღნიშნული ბაზის გამოყენებით მოძიებული ლიტერატურა თითქმის არ იყო გამოყენებული.

ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შემოწმებული იქნა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი. აღსანიშნავია, რომ ნაშრომებში მხოლოდ მინიმალურად იყო გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა. სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ უცხო ენის არასაკმარისად ფლობის გამო მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაეცნონ მრავალფეროვან უცხოენოვან ლიტერატურას.

სტუდენტებისათვის ცნობილია ბაზების გამოყენების წესები, თუმცა სამეცნიერო წყაროების

ფართოდ გამოყენება ვერ ხორციელდება. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერების მიზნით აუცილებელია უცხო ენათა სიღრმისეული სწავლება. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარება. თუმცა სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ საუბროს უცხო ენაზე. ამასთან, პროგრამაში გათვალისწინებული არ არის არც ერთი უცხოენოვანი საგანი და არც პროფესიული ინგლისური. სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა რომ უცხო ენის სწავლა არ არის საკმარისი. უცხო ენის სათანადო დონეზე არ ცოდნის გამო სტუდენტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მიიღონ მონაწილება

გაცვლით პროგრამებში და სამეცნიერო კვლევისა და ნაშრომთა მომზადების ფარგლებში გამოიყენონ უცხოენოვანი მასალა. აკად. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ ნაკლებად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სემინარებსა თუ კონფერენციებში, რომელიც სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეხება. აკად. პერსონალის მხოლოდ მცირე რაოდენობა ესწრება ტრეინინგებს, სემინარებსა თუ კონფერენციებს, რომელიც უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ტარდება. უნივერსიტეტი არ უზრუნველყოფს აკად. პერსონალის მონაწილეობას/ჩართულობას პროფესიული განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ინტერვიუ;
- ადგილზე დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უცხოენოვანი სამეცნიერო ბაზებზე წვდომის მიუხედავად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევის მწირად ხდება უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება. სასურველია, აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლებისა და სტუდენტთა მიერ მომზადებული სტატიათა/ნაშრომთა მომზადებისას ფართოდ იქნეს გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა.

o აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის სასურველია სამართლის სხვადასხვა დარგში უზრუნველყოფილი იყოს კონფერენციები, სემინარები და სხვა საგანმანთლებლო აქტივობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უსდ წარმოადგენს კერძო უმაღლეს სასწავლებელს, რომლის ფინანსდება სტუდენტის მიერ გადახდილი ფულადი რესურსით. პროგრამის ბიუჯეტი განკუთვნილია აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო ანაზღაურების მიზნით. ასევე, გათვალისწინებული სამეცნიერო მივლინების, რეკლამის, სახელმძღვანელოების შეძენის ხარჯი. გამოთხოვილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ფაკულტეტის მიერ ნამდვილად იქნა გაწეული ხარჯი სახელმძღვანელოების შეძენის, რეკლამის, მივლინებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემისათვის. ამ უკანასკნელში იგულისხმება საუნივერსიტეტო ჟურნალის გამოცემის ხარჯი. გასული წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლებისათვის გაწეული ხარჯი მხოლოდ აღნიშნულით შემოიფარგლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან; o ინტერვიუ; o ბრძანება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები უნივერსიტეტის მიერ გაწეული სამეცნიერო მივლინების ხარჯია საკმაოდ მწირია. გამოკითხვისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტის პერსონალი მიერ განხორციელებული

კვლევა თითქმის არ ფინანსდება უსდ-ს მიერ. გამონაკლისია, სამეცნიერო ჟურნალის გამოცემისა და მივლინების ხარჯების ანაზღაურება. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ბიუჯეტში ათვალისწინებული იქნეს სამეცნიერო კვლევების განხორციელებისა და მივლინებების დაფინანსება. * პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებისას დადგინდა, რომ პერსონალი საკმაოდ იშვიათად იღებს მონაწილეობას კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განკუთვნილ ღონისძიებებში. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში რამდენიმე პირმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობაში, თუმცა მათი რაოდენობა არასაკმარისია. უნივერსიტეტის პერსონალი მუდმივად უნდა იქნეს ჩართული უწყვეტი იურიდიული განათლების პროგრამაში. პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, სასურველია ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს სხვადასხვა საგანმანთლებლო/სამეცნიერო ღონისძიების დაფინანსება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტის ფაკულტეტის წევრები, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები. ისინი ინტენსიურად თანამშრომლობენ როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება ყოველწლიურად და ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი ახორციელებს მონიტორინგს.

შეფასების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის წევრები, სტუდენტები, პარტნიორი ორგანიზაციები

(დამსაქმებლები), კურსდამთავრებულები. თითოეული მათგანის მიერ პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის დახვეწისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები გათვალისწინებულია პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. პროგრამის შეფასების შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭზე და გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომლის რეკომენდაციებსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და კომენტარები გადაეცემათ პროგრამაში ჩართულ პირებს და პროგრამის განმავითერებელ ჯგუფს, რომელიც იყენებს ამ რეკომენდაციებს პროგრამის მოდიფიკაციისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გათვალისწინებით კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: დაემატა რამდენიმე საგანი (მაგალითად აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები), რამდენიმე საგანი ამოღებულ/გადატანილ იქნა საბაკალავრო პროგრამაში, გაიზარდა საკონტაქტო საათები, თითოეულ საგანს კვლევითი კომპონენტი დაემატა, ა.შ.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადდა პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობით. ფაკულტეტის წევრები, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები თვითშეფასების პროცესში იყვნენ ჩართულები. რექტორის ბრძანებით შეიქმნა პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი, რომელმაც მოახდინა პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი, შეიმუშავა რეკომენდაციები და პროგრამის განმავითარებელი წინადადებები. აღნიშნული გადაეცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესწავლისა და ექსპერტიზისთვის. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა და საბოლოო რეკომენდაციები განხილულ იქნა და დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე.

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს: „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე“. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაც ეფუძნება ამავე პრინციპს. აღნიშნული ციკლი ხორციელდება უნივერსიტეტისა და სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ, სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთვრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

* თვითშეფასების ანგარიში;

* უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-01/59 „საგანმანათლებლო

პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;

* ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები;

* პროგრამის განვითარების ჯგუფის და ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;

* ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;

* ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

* ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

* ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;

* ინტერვიუ სტუდენტებთან;

* ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;

* ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტმა პერიოდულად უნდა გაიაროს ხარისხის გარე უზრუნველყოფა. უნივერსიტეტი იყენებს პროგრამულ აკრედიტაციას (რომელიც სავალდებულოა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით) გარე ხარისხის შეფასებისათვის.

აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამის განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

* თვითშეფასების ანგარიში;

* ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;

* ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

* ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

* ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის * მიზანშეწონილია უნივერსიტეტში დაინერგოს გარე ხარისხის შეფასების სხვადასხვა ფორმები და მოხდეს გარე შეფასების შედეგების გათვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა და სტუდენტთა მონიტორინგის შეფასების მექანიზმები, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის ასაუმჯობესებლად. პროცესში ზემოთ ჩამოთვლილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფილია გამოკითხვების, შეხვედრებისა და დისკუსიების გამართვის გზით.

პერიოდულად დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხდება პროგრამის მონიტორინგი და შეფასება. უნივერსიტეტი ახდენს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და მასზე დაყრდნობით ახორციელებს პროგრამის მოდიფიკაციას, პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში იგეგმება განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისათვის პროგრამის ექსპერტიზა. ამისათვის უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ინფორმაციების გაცვლის პროცესი ნიდერლანდების სამეფოს „ინ-ჰოლანდი“-ის უნივერსიტეტთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების პროცესის შეფასებას ლექციებზე კოლეგების დასწრების გზით. დანერგილია ურთიერთდასწრების წესი, რომლიც მიმართულია ხელი შეუწყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ურთიერთდასწრების განრიგს შეიმუშავებს. დასწრების შედეგების განხილვა და ანალიზი კი ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე.

ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ თითოეულ კურსს კითხვარების შევსების გზით და მიღებული შედეგები გამოიყენება კურსის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განვითარების მიზნით უნივერსიტეტი მუშობს რათა განახორციელოს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. ამისათვის უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ინფორმაციების გაცვლის პროცესი ნიდერლანდების სამეფოს „ინ-ჰოლანდი“-ის უნივერსიტეტთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

უნივერსიტეტი მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით ახორციელებს პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში - ახდენს პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

თვითშეფასების ანგარიში;

* ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;

* ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

* ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

* ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;

* ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

* ინტერვიუ დამსაქმებლებთან;

* სტუდენტების გამოკითვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

* პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორებთან კოლეგიალური შეფასების განხორციელებაზე გაგრძელდეს მუშაობა.

* პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორებთან გაგრძელდეს მუშაობა, რათა განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და გამოყენებულ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კერძო სამართალი

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა